

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №55

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 24/10/2019 წ

სხდომის დაწყების დრო 16:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 19:26 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი

სხდომის თავმჯდომარე - გიორგი ამილახვარი


საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია

სხდომის მდივანი - სალომე თოთიბაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; (საბჭოს თავმჯდომარე);
2. გიორგი ამილახვარი- შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი; (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
3. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი; (საბჭოს მდივანი)
4. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
6. ლევან გორდუხიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
12. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
13. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე;
14. ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა

საბჭოს მოწვეული წევრები

1. გიორგი ბაქრაძე - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ქირურგი-ონკოლოგი, მედიცინის დოქტორი;
2. გიორგი ხუფენია - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის პროფესიული მზადების სამმართველოს უფროსი;
3. დავით გაგუა - შპს - "დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის" პროფესორი, შპს "გაგუას კლინიკის" გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი;
4. დავით კობეშვიძე - შპს - იმედის კლინიკის დირექტორი, მეან-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი;
5. ანა კაკაბაძე - ანა კაკაბაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;
6. ირაკლი კობრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი;
7. კახაბერ ჭელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, შინაგან დაავადებათა №1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;
8. ნათია ნოღაიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი;
9. პაატა იმნაძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე;
10. რუსუდან რუხაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები


სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თეა ნადირაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი
2	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	დალი გურასპაშვილი	სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გულნაზ გალდავა	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე	I

საბჭოს თავმჯდომარე


 ხელმოწერა

2	მოგელი შენგელია	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	დავით ძიძიგური	შპს- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	არჩილ ბეგიაშვილი	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი	I
5	ნათია ბადრიშვილი	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	კლინიკური ფსიქოლოგიისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	ქეთევან კოტეტიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II-III
7	ირინე გოცირიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ ბიო სამედიცინო ინჟინერია“ და დოქტორანტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ ხელმძღვანელი	II-III
8	ირინა გორგილაძე	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	მმართველობის სკოლის დეკანი	IV
9	გიორგი თურქია	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
10	ნიკოლოზ აბუაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
11	ნანი მაჭარაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IV
12	სალომე ჟორჟოლიანი	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი / მმართველობის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	IV
13	ელენე ბერიძე	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	IV
14	ელენე ნიკოლაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
15	ლელა ქელბაქიანი	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი	V

საბჭოს თავმჯდომარე


 ხელმოწერა

16	ნინო ალავიძე	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
17	თიესა მორჩაძე	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი	V
18	ილია მესხი	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	V
19	გიორგი გაბისონია	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ლილი ხერუაშვილი		I
2	ნანა ბურდული		I
3	მარიამ მუქერია		I
4	ია ფანცულაია		V
5	ოლგინ ვესტვუდი	ჩაერთო Skype-ით	V

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სითითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27³ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.


სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
5. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ კი

საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა

ქეთევან ქოქრაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე

ცვლილების არგუმენტაცია: შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განსახილველად საჭირო კვორუმის არარსებობის თავიდან აცილება.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
4. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
5. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1. პირველი საკითხი: შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება
2	სტატუსი ²	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	“-----“
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³	“-----“
5	უმაღლესი განათლების საფეხური ⁴	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე ⁵	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ⁶	“-----“
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია

¹ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი


² ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

³ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁶ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარე


 ხელმოწერა

10	კვალიფიკაციის კოდი ⁷	0313
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი ⁸	საქართველო 0159, ქ. თბილისი, ირინა ენუქიძის ქუჩა, №3
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----“
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁹	„----“
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„----“

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

ანა ფირცხალაშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა წარმოადგინა აკრედიტაციის ვიზიტის შეჯამება და აღნიშნა, რომ 2019 წლის 02 სექტემბერს კლინიკური ფსიქოლოგია/ფსიქოდიანოზტიკისთვის შედგა აკრედიტაციის ვიზიტი. მისი თქმით, ვიზიტი დღის წესრიგის შესაბამისად წარიმართა. შეხვედრები გაიმართა მენეჯმენტთან,

⁷ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხ ნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/5) შესაბამისი კოდი

⁸ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁹ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარე

სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და იმ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც არა ამ უნივერსიტეტის კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულები, არამედ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა არ დასჭირვებიათ. მან ისიც აღნიშნა, რომ პროგრამა ახალია. ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების წილი კი ძალიან მცირე და ადვილად შესრულებადია.

მისი განმარტებით, კლინიკური ფსიქოლოგიის პროგრამების რაოდენობამ იმატა. თითოეული პროგრამა, რომელიც ბაზარზე შემოდის, არის კონკრეტული მიმართულებით, შესაბამისად სპეციალობები ერთმანეთს არ ფარავენ. ხოლო აღნიშნული პროგრამა, რომელიც ბაზარზე შემოვა, იქნება კლინიკური ფსიქოლოგიის ის პროგრამა, რომელიც ერთი კონკრეტული, ყველაზე თანამედროვე მიმართულებით გაწვრთნის სტუდენტებს, შესაბამისად ეს არის ბიჰევიორული თერაპია. მისი თქმით, აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სწორედ ამ მიმართულებით გამოცდილი პრაქტიკოსია. შესაბამისად, პროგრამა დალაგებული, გააზრებული, პრაქტიკის, თეორიისა და კვლევის კარგად გააზრებული კომბინაციითაა წარმოდგენილი.

მან ისიც აღნიშნა, რომ არ არსებობს იდეალური პროგრამა. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ გაცემა რეკომენდაციები. მისი თქმით, პროგრამა ხუთიდან ოთხ სტანდარტში სრულად შესაბამისია, ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში.

ექსპერტთა მიერ გაცემული პირველი რეკომენდაცია ეხებოდა მიღების წინაპირობებს. აპლიკანტს შესაძლებლობა ჰქონდა ჩაებარებინა რამდენიმე უცხო ენა, თუმცა პროგრამის თითოეული სილაბუსის შესწავლამ ცხადყო, რომ მასალის დიდი ნაწილი ქართულის გარდა, ინგლისურ ენაზე მიეწოდებოდათ სტუდენტებს. აქედან გამომდინარე, ინსტიტუციას მიეცა რეკომენდაცია, რათა დაკონკრეტდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე (B2) და წინაპირობა.

რაც შეეხება სასწავლო კურსებს, ექსპერტის თქმით, რეკომენდებული იყო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსის ამოღება. პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა მათზე მორგებული კვლევის მეთოდებით ჩანაცვლება. ასევე, მან აღნიშნა, რომ რეკომენდებული იყო კვლევის რომელიმე მეთოდის ცალკე კურსად შეთავაზება. როგორც ექსპერტმა განმარტა, კლასიკური კურსები, რომელთა შეთავაზება ხდება, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინაციაა. თუმცა, კლინიკური ფსიქოლოგიის თავისებურება ისაა, რომ მაგისტრანტები უფრო თვისებრივი მეთოდებისკენ მიდიან ხოლმე, შესაბამისად მისი თქმით, უკეთესი იქნებოდა სტუდენტებისთვის არჩევითად რამდენიმე სახის კვლევის მეთოდები შეთავაზებულიყო.

ექსპერტთა მიერ გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია შეეხებოდა ლიტერატურას. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ზოგადად ფსიქოლოგიის მიმართულებით ქართულენოვანი ლიტერატურა ძალიან ჭირს. ვინაიდან მოცემული იყო ინგლისურენოვანი, ფრანგულენოვანი და გერმანულენოვანი ლიტერატურა, მისი თქმით, უკეთესია თუ უფრო ჰომოგენიზებული იქნებოდა. როგორც მან აღნიშნა, მიღების კრიტერიუმების მიხედვით, სტუდენტებს არ მოეთხოვებათ ქართულის და ინგლისურის გარდა სხვა ენაში კომპეტენცია. გარდა ამისა, ექსპერტთა მიერ რჩევის სახით შეთავაზებული იყო სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე არჩევითი კურსების გამრავალფეროვნება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა კურსდამთავრებულები გამოდიოდნენ თუ არა კლინიციისტები.

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულები არ გამოდიან ექიმები. მათ არ შეუძლიათ წამლების გამოწერა, თუმცა მათ შეუძლიათ დიაგნოზის დასმა ფსიქოლოგიაში.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა აღნიშნა, რომ ისინი ჯანდაცვის პერსონალადაც არ მოიაზრებიან.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა შეუძლია თუ არა კურსდამთავრებულს, თუნდაც აუტისტური სპექტრის დაავადებებში დასვას დიაგნოზი.

საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა

მოწვეულმა წევრმა უპასუხა, რომ ეს ადამიანები ჩართულები არიან აუტისტური სპექტრის ბავშვების მკურნალობის ცენტრში, ისინი არ ითვლებიან ჯანდაცვის პერსონალად, თუმცა ექიმებთან ერთად დიაგნოზს სვამენ.

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა დაამატა, რომ კურსდამთავრებულები ცხადია სამედიცინო დიაგნოზს ვერ დასვამენ, თუმცა მათ აქვთ ფსიქოლოგიური აშლილობების ფართო სპექტრის დიაგნოზის დასმის საშუალება. მან აღნიშნა, რომ ფსიქოლოგს თავისი კომპეტენციის ზღვარი აქვს. ფსიქიატრების მსგავსად, მულტი დისციპლინურ ჯგუფში მუშაობენ. მისი თქმით, ეს არის თანამედროვე მიდგომა და მათი ცოდნა სხვა ექიმების ცოდნის კომპლემენტარულია. მან განმარტა, რომ მართალია დასახელებაში აღნიშნულია „კლინიკური“, თუმცა ეს ფსიქოლოგიის ფარგლებში კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებას გულისხმობს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამებზე არის ზოგადი პრობლემა, ვინაიდან წარმმართველი არის ინგლისური ენა. მას მოჰყავს მაგალითი, რომ თუ სტუდენტი გერმანულის ენის ან/და ფრანგული ენის მცოდნეა, საქართველოს მასშტაბით ის მეორე საფეხურზე ვერ ისწავლის. აღნიშნულთან დაკავშირებით ანა ფირცხალაშვილმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტში ჩაბარების საშუალება ყველას ეძლევა, თუმცა შემდეგ, უცხოენოვან მოდულში არის ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენებიც. მას მაგალითად მოჰყავს საჯარო მმართველობასა და სამართალზე, აღნიშნულ ენებზე არსებული ალტერნატიული ლიტერატურა.

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის ფარგლებში, ინგლისურ ენას რაც შეეხება, სოციალურ მეცნიერებებში, ისევე როგორც ფსიქოლოგიაში, არსებობს ტენდენცია, რომ ინგლისური ენა დამკვიდრდა, როგორც საერთაშორისო სამეცნიერო დონე. მისი თქმით, რამდენი ლიტერატურაც არ უნდა ითარგმნოს, ფიზიკურად შეუძლებელია დარგის განვითარებასთან დაწევა. მისთვის სამწუხაროა, თუმცა წარმმართველი ამ შემთხვევაში ინგლისური ენაა.

სტუდენტმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ენასთან დაკავშირებით ნამდვილად არის პრობლემა. რაც შეეხება ენების ალტერნატივას, ალტერნატივები უნივერსიტეტებში არსებობს. არსებობს თარგმანებიც, რომლებიც მარტივად მოსაძებნია. მისი თქმით, როდესაც ლექტორი სტუდენტს ლიტერატურას აძლევს, მას მარტივად შეუძლია სხვა ენოვანი თარგმანის მოძებნა. მას შეუძლია Google Scholar-ში მოიძიოს თარგმანი. პრობლემა მაშინ წარმოიშობა, თუ სტუდენტმა ენა არ იცის.

საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა ერთ-ერთი რეკომენდაციით, რომელიც შეეხებოდა იმას, რომ უნივერსიტეტში მიღება მხოლოდ ინგლისური ენის კომპეტენციის გათვალისწინებით ხდება. უნივერსიტეტი არ ითვალისწინებს ფრანგული და გერმანული ენით მიღების შესაძლებლობას, შესაბამისად, მისი თქმით, სტუდენტების გარკვეულ ნაწილს ეზღუდებათ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა. მან აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ამ პრობლემას ინსტიტუცია გადაჭრის უნივერსიტეტში აღნიშნული ენების სწავლების გზით.

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტში აღნიშნულ საკითხზე იყო მსჯელობა, თუმცა, ფსიქოლოგიაში ინგლისურის გარდა, უახლესი ლიტერატურა ძირითადად არ მოიპოვება, კლინიკური ფსიქოლოგია მაგისტრატურის დონეზე რიდერით არ უნდა ისწავლებოდეს. მისი თქმით, სტუდენტი უნდა კითხულობდეს სრულფასოვან სამეცნიერო ტექსტებსა და სტატიებს. სტატიების ექვივალენტების სხვა ენებზე მოძიება კი მისთვის ცოტა არარეალურია.

საბჭოს წევრი, მაკა ლაშხია აღნიშნავს, რომ სამეცნიერო ბაზები ინგლისურენოვანია და ნებისმიერ სფეროში სტატიები უფრო მეტად ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე.

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან საკომუნიკაციო ენა არის ინგლისური, გერმანული პროფესორი და მკვლევარი სტატიის გამოცემისთვის ლოკალურ ენაზე დროს არ დახარჯავს, მაშინ, როდესაც შეუძლია, რომ სტატია უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს მისი ინგლისურ ენაზე გამოცემით.

საბჭოს თავმჯდომარე


ბელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა, გულნაზი გალდავამ მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტის პოზიცია თანმხვედრია რეკომენდაციებსა და რჩევებთან. რეკომენდაციებში აღწერილი პროცესები უნივერსიტეტშიც მიმდინარეობდა. როგორც მან აღნიშნა, ეს არ იყო მომენტალურად მიღებული გადაწყვეტილებები. ექსპერტებმა შეძლეს დაესაბუთებინათ საკუთარი პოზიცია და ასევე გაგრძელდება მუშაობა.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ვინაიდან სილაბუსებში მითითებულია რიდერები და ექსპერტები კრიტიკულ მოსაზრებას გამოთქვამენ ლექტორების მიერ მომზადებულ რიდერებთან დაკავშირებით, დაინტერესდა ექსპერტები გაეცნენ თუ არა ამ მასალას და ფიქრობენ თუ არა, რომ შედეგზე გასვლისთვის ეს საკმარისია.

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა უპასუხა, რომ უმჯობესია სტუდენტებმა ისწავლონ ორიგინალი ტექსტებიდან, ვიდრე რიდერებიდან. ლიტერატურის ნაწილი ნათარგმნია, ხოლო ეს არის აუცილებელი, სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული. მისი თქმით, იქვე დამატებით ლიტერატურაში სტატიებია მითითებული, შესაბამისად მთლიანობაში ეს ავსებს ერთმანეთს და მან დადებითად უპასუხა საბჭოს წევრის კითხვას და აღნიშნა, რომ პროგრამა შედეგზე გავა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას ✓

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ
- პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹⁰	კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება
2	სტატუსი ¹¹	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	“-----“
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ¹²	“-----“
5	უმაღლესი განათლების საფეხური ¹³	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე ¹⁴	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ¹⁵	„-----“
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
10	კვალიფიკაციის კოდი ¹⁶	0313
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი ¹⁷	საქართველო 0159, ქ. თბილისი, ირინა ენუქიძის ქუჩა, №3
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----“
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ¹⁸	„----“
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„-----“

¹⁰ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

¹¹ ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

¹² საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

¹³ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

¹⁴ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით


¹⁵ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

¹⁶ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხ ნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

¹⁷ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

¹⁸ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე


 ხელმოწერა

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹⁹	ბიოსამედიცინო ინჟინერია
2	სტატუსი ²⁰	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 29 მარტის №84
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ²¹	„----“
5	უმაღლესი განათლების საფეხური ²²	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე ²³	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემებში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ²⁴	„-----“
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
10	კვალიფიკაციის კოდი ²⁵	0403
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი ²⁶	საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N4
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 29 მარტი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2019 წლის 1 ოქტომბრამდე)

¹⁹ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

²⁰ ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

²¹ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში


²² ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

²³ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

²⁴ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

²⁵ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/5) შესაბამისი კოდი

²⁶ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
სხდომის თავმჯდომარე


ხელმოწერა

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ²⁷	
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 30 მარტი

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ²⁸	ბიოსამედიცინო ინჟინერია
2	სტატუსი ²⁹	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 04 აპრილის №92
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³⁰	„----“
5	უმადლესი განათლების საფეხური ³¹	დოქტორანტურა
6	კვალიფიკაციის დონე ³²	მერვე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი უფლების მითითებით ³³	„-----“
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
10	კვალიფიკაციის კოდი ³⁴	04
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
13	განხორციელების ადგილი ³⁵	საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N4
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 04 აპრილი

²⁷ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

²⁸ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

²⁹ ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

³⁰ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

³¹ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

³² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

³⁴ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

³⁵ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი სხდომის თავმჯდომარე

15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ³⁶	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2019 წლის 05 ოქტომბრამდე)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 06 აპრილი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

ქეთევან ქოქრაშვილი, დენიტა ბიბილეიშვილი, სალომე თოთიბაძე, გიორგი ქვარცხავა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, სხდომის თავმჯდომარის ფუნქციების შესრულება დაეკისრა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, გიორგი ამილახვარს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილ ანგარიშთა ერთად განხილვის შესახებ, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოედგინა ანგარიში.

მეორე და მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში. მისი თქმით, „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებმა მიიღო 7 წლიანი აკრედიტაცია ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუტია ყველა რეკომენდაციასა და რჩევას გაეცნო, შესაბამისად რეკომენდაციების შეფასება განხორციელდა, რომელიც წარმოდგენილია.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა იყო თუ არა რომელიმე რეკომენდაცია, რომელიც არ ან ვერ გაითვალისწინეს.

³⁶ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე


ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული და განხორციელებულია. შესაბამისი მტკიცებულებები კი წარმოადგინეს, საბჭოს კი შეუძლია გაეცნოს წარმოდგენილ მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე



ბელმოწერა

4. მეოთხე საკითხი: ა (ა) ი 3 - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ³⁷	ბიზნესის ადმინისტრირება
2	სტატუსი ³⁸	აკრედიტირებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 21 მარტი, №65
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³⁹	„----“
5	უმაღლესი განათლების საფეხური ⁴⁰	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე ⁴¹	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ⁴²	„-----“
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
10	კვალიფიკაციის კოდი ⁴³	02
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი ⁴⁴	საქართველო 0108, ქ. თბილისი, მარი ბროსეს ქუჩა №2
14	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 21 მარტი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁴⁵	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2019 წლის 23 სექტემბრამდე)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 23 მარტი

³⁷ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

³⁸ ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

³⁹ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴⁰ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა


⁴¹ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁴² მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴³ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/5) შესაბამისი კოდი

⁴⁴ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁴⁵ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარე


 ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა არსებობდა თუ არა „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რომელიმე რეკომენდაცია, რომელიც არ, ან ვერ გაითვალისწინა დაწესებულებამ და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია მასთან დაკავშირებით.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი თურქიამ წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში. მისი თქმით, ამ პროგრამის განხილვის დროს, უნივერსიტეტში არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. ასევე, მოწვეულმა ექსპერტმა დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია. მისი თქმით, რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით მათ მიერ ექსპერტთა მოსაზრებები გაზიარებულ იქნა, ხოლო რეკომენდაციათა დანარჩენ ნაწილთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას საკუთარი აზრი უფრო რელევანტურად მიაჩნია.


მისი თქმით, ძირითადად საუბარი იყო ადამიანური რესურსების საგნის დამატებასთან დაკავშირებით. ფინანსების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულებით არის მოდულური პროგრამა. ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანური რესურსების მართვა ყოფილიყო ცალკე საგნად წარმოდგენილი. შესაბამისად, ცალკე არის მენეჯმენტი, მართვა და ა.შ. აღნიშნული საგნები კი მოიცავს სწორედ ამ საკითხებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რადგან ამ სახელწოდების საგანი არ არის, ეს არ ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული თემები არ ისწავლება. მან განმარტა, რომ სწავლება ინტეგრირებულია და ხედვა არის ასეთი, რომ ჯობს ადამიანური რესურსების მართვა ინტეგრირებული იყოს სხვა საკითხებთან და ცალკე არ ისწავლებოდეს. ეს ცვლილება რომ განხორციელებულიყო, იგი იქნებოდა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის და შინაარსობრივად არაფერი შეიცვლებოდა.

მან ისიც აღნიშნა, რომ ექსპერტებს ეჭვი არ ჰქონდათ, რომ პროგრამა შედეგზე ვერ გადიოდა. უბრალოდ აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა აღნიშნული საგნის დამატება. ექსპერტთა დანარჩენი შენიშვნები უნივერსიტეტის განვითარებას უკავშირდებოდა, რომლებიც მისი თქმით გათვალისწინებულია. ერთ-ერთი შენიშვნა უკავშირდებოდა ინტეგრირებას, რის შედეგადაც შესაბამის ბიზნეს სკოლასთან დაკავშირებით გაფორმდა მემორანდუმი. ასევე, მან დამატებით აღნიშნ, რომ არამარტო ლოკალური სტუდენტები მიდიან, არამედ იქიდანაც ჩამოდიან სტუნდენტები, მათ შორის პრადის ბიზნეს სკოლიდანაც.

საბჭოს წევრი, გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა, თუ რა არგუმენტი არსებობდა დაწესებულების მხრიდან ამ რეკომენდაციის უარყოფის მხარდასაჭერად არგუმენტირებულ პასუხში.

საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ექსპერტთა პოზიცია იყო ის, რომ ცალკე საგნად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მისი თქმით, არგუმენტირებულ ჩანაწერში დაწესებულებამ ისიც კი მიუთითა, რომელ სასწავლო საგანში რამდენი საათი ეთმობოდა ადამიანური რესურსების სწავლებას. პროგრამის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მოწვეულმა ექსპერტმა გაიზიარა დაწესებულების აზრი. არგუმენტაცია კი როგორც მან აღნიშნა იგივე იყო, რაც არგუმენტირებულ პასუხში და სხდომაზეც აღინიშნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა (ა) ი კ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს ა (ა) ი კ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ⁴⁶	დიპლომირებული მედიკოსი
2	სტატუსი ⁴⁷	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	„----“
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ⁴⁸	„----“
5	უმაღლესი განათლების საფეხური ⁴⁹	ერთსაფეხურიანი
6	კვალიფიკაციის დონე ⁵⁰	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ⁵¹	„----“

⁴⁶ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი


⁴⁷ ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

⁴⁸ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴⁹ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵⁰ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁵¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარე


 ხელმოწერა

9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED - F - 2013)	0912 მედიცინა
10	კვალიფიკაციის კოდი ⁵²	0912
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
13	განხორციელების ადგილი ⁵³	საქართველო 4600, ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №13
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----“
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁵⁴	„----“
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„----“

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.

17:16 საათზე სხდომას შემოუერთდნენ მოწვეული წევრები.

17:18 საათზე სხდომას შემოუერთდა ხათუნა თოდაძე.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა


ექსპერტმა, ია ფანცულაიამ წარმოადგინა აკრედიტაციის ვიზიტის შეჯამება. მისი თქმით, ქუთაისის უნივერსიტეტში სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაციის მიზნით. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, საგანმანათლებლო პროგრამა ხუთი სტანდარტიდან სამ სტანდარტთან მიმართებით მეტწილად შესაბამისია, რაც გამოიწვია ინტერნაციონალიზაციის, სამეცნიერო ტექნიკური ბაზებისა და სხვა საკითხებმა.

მან აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი, (მიზანი და მისია) არის სრულად შესაბამისობაში, ვინაიდან კარგადაა ჩამოყალიბებული, პროგრამა გაწერილია 2019 წლის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. მისი თქმით, ხელშეკრულებები გაფორმებული აქვთ ბაზებთან და ექსპერტებმა ეს ბაზები ნახეს. უნივერსიტეტი რეგიონში ერთადერთი კერძო უნივერსიტეტია, სადაც ამჟამად 900 სტუდენტია. ექსპერტმა

⁵² სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/5) შესაბამისი კოდი

⁵³ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁵⁴ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარე


 ხელმოწერა

აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეუძლია უცხოენოვან პროგრამაზე დამატებით სტუდენტების მიღება. პერსონალთან მიმართებით კი ექსპერტმა დაამატა, რომ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში უნივერსიტეტს პერსონალის დამატება და პროფესიული განვითარების ტრენინგები დასჭირდება. ასევე, თუ უნივერსიტეტი ოსკით აპირებს გამოცდების ჩატარებას, გასათვალისწინებელია ის, რომ ამჟამად მხოლოდ 8 სადგურია და მისი თქმით უმჯობესი იქნებოდა ამ რაოდენობის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა დარჩათ თუ არა შთაბეჭდილება, რომ ინგლისური ენის ცოდნა იმ დონისაა, რომ შესაძლებელი იქნება ლექციის წაკითხვა და ასეთ პროფესორთა რა რაოდენობაა დაწესებულებაში.

ექსპერტ ია ფანცულაიას განმარტებით, რეკომენდაციის მიცემა იმან გამოიწვია, რომ ზოგიერთმა პერსონალმა არჩია ქართულად გასაუბრებოდნენ მათ. მისი თქმით, 2 ან 3 ადამიანი იყო 10-დან, რომელსაც ექსპერტები შეხვდნენ. მან აღნიშნა, რომ ლექციის წაკითხვის დონეზე შესაძლოა პროფესორებმა იციან ინგლისური, თუმცა რამდენიმე მათგანმა არჩია ქართულად გასაუბრება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ჩათვალა, რომ რადგან დაწესებულებას სტუდენტები არ ჰყავს, უფრო მეტად რჩევების სახით ყოფილიყო შენიშვნები წარმოდგენილი და შეფასებაში მკაცრი არ ყოფილიყო.

სხდომის მიმდინარეობას ვიდეო ზარით ჩაერთო საერთაშორისო ექსპერტი, ოლვინ ვესტგუდი. მისი თქმით, ქუთაისის სამედიცინო სკოლა ძალიან კარგი იქნება, რადგან საერთაშორისო ექსპერტები და სპეციალისტები არიან ჩართულები. ისინი ძალიან დიდ რესურსს დებენ პროგრამაში. ჯერ-ჯერობით დაწესებულებას სტუდენტები არ ჰყავს და ლექტორებს სწავლებაც არ დაუწყიათ. მან აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტის შესახებ არც ერთი რეკომენდაცია არ გაიცა. მეორე სტანდარტთან მიმართებით კი არსებობს რამდენიმე რეკომენდაცია სტუდენტების პროგრესის შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე უნდა შემოწმდეს, რომ სტუდენტებისა და პროფესორების შეფარდება სწორია. განსაკუთრებით ოსკის გამოცდასთან დაკავშირებით. მისი აზრით, მესამე სტანდარტთან დაკავშირებით უკეთესი იქნებოდა დაწესებულებას საერთაშორისო პარტნიორობები გაეფორმებინა. მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონოდათ უკუკავშირის სისტემა. ექსპერტი თვლის, რომ რეკომენდაციებში ძალიან დივერსიფიცირებული შეფასების სისტემებია წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ ტერმინოლოგიის თვალსაზრისით ქიმიის ქართულენოვან სილაბუსში სერიოზული ხარვეზებია. მისი თქმით, ანალიტიკური ქიმია არ არსებობს, არამედ ეს არის ანალიზური ქიმია, კატალიზისი, კატალიზი.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდამემ აღნიშნა, რომ არსებობს თარგმანის პრობლემა.

საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ ქართველი ავტორია მითითებული, შესაბამისად ეს მის უცოდინრობას ავლენს. მისი თქმით, სასურველია, რომ გამოსწორდეს ეს ხარვეზები. დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ სილაბუსები იწერებოდა ინგლისურ ენაზე, შესაბამისად ლიტერატურაც ინგლისურენოვანია და ეს თარგმნის პრობლემაა. თუმცა, ეს ყველაფერი გამოსწორებული იქნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ალავიძემ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი. მისი თქმით, დაწესებულება შეფასების სისტემასთან დაკავშირებით 2.2-ში მოყვანილ რეკომენდაციას ეთანხმება. მან აღნიშნა, რომ შეფასების სისტემა მიღერის პირამიდის მიხედვით აიგო, რაც გულისხმობს კომპეტენციების გაყოფასა და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების გამოყენებას. მისი განმარტებით, შეფასების ფორმებიც მისი შესაბამისია, რაც გულისხმობს knows, knows how, shows, shows how შეფასების მეთოდების გამოყენებას. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ტესტები ფასდება MCQ ტესტებით, ასევე გამოიყენება ესეები და პრეზენტაციები. კლინიკური კურსების შეფასებისას კი გამოიყენება ღია კითხვები და კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის გამოცდა (ოსკი).

რაც შეეხება 2.5-ში მოყვანილ რეკომენდაციას, ინსტიტუტმა მას არ ეთანხმება, თუმცა რჩევად იღებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სასწავლო პროცესი

საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა

სრულფასოვნად არ მიმდინარეობს, ამ ეტაპზე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში აქვს მონაწილეობა მიღებული. საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, ადამიანური რესურსების სამსახურს, პერსონალის კომპეტენციების ამაღლებისათვის, დაგეგმილი აქვს ტრენინგები სამედიცინო განათლების მეთოდებზე. ინსტიტუცია 3.1 - ში მოყვანილ რეკომენდაციას ეთანხმება, თუმცა მას რჩევის სახით გაითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამის, ინიცირების ეტაპიდან მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან. ხუთ უნივერსიტეტთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი და კიდევ ხუთ უნივერსიტეტთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. მან ისიც აღნიშნა, რომ ევროკავშირის საგრანტო პროექტების დაფინანსების რაოდენობების მიხედვით, ქუთაისის უნივერსიტეტი პირველ ათეულში შედის, კერძო უნივერსიტეტებს შორის კი მოწინავეა. უნივერსიტეტს მონაწილეობა აქვს მიღებული 8 ინსტიტუციონალური განვითარებისა და 3 მობილობის პროექტში. მოცემული სტატისტიკა და შიდა საუნივერსიტეტო ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია კი ადასტურებს, რომ აღნიშნულ საკითხზე სამომავლოდაც გაგრძელდება მუშაობა. დაწესებულების წარმომადგენელმა 4.1 - ში მოყვანილ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას ნაწილობრივ ეთანხმებიან, რადგან ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ უკვე დაგეგმილია და ხორციელდება პერსონალის მიერ სასწავლო პროცესების გამართულად წარმართვის მიზნით მათი კვალიფიკაციის ამაღლება. კერძოდ, ადამიანური რესურსების სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შემუშავებული აქვს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სტრატეგია, რაც მოიცავს ოსკის დაგეგმვისა და ჩატარების სპეციფიკაში მათ გათვითნობიერებას. რაც შეეხება 4.1-ში მოყვანილ მეორე რეკომენდაციას, ინსტიტუცია მას არ ეთანხმება, ეს კი დაწესებულების წარმომადგენელმა იმით ახსნა, რომ აღნიშნული პროგრამა არ ფუნქციონირებს და ამ პრობლემის იდენტიფიცირება ვერ მოხდებოდა. წინარე პრევენციული ზომები კი უნივერსიტეტს მიღებული აქვს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება 4.2-ის რეკომენდაციასაც არ ეთანხმება. თუმცა, მისი თქმით, დიპლომირებული მედიკოსის სასწავლო პროგრამის აკადემიური პერსონალი საქართველოში არსებულ სხვა დაწესებულებებშიც კითხულობს ლექციებს და მათ მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმილი აქვს აკადემიური პერსონალის გაზრდის გეგმა. მათი გადამზადების მიზნით დაგეგმილია ინგლისურენოვანი ტრენინგები. დაწესებულების წარმომადგენელმა სამომავლოდ არსებულ შიდა საუნივერსიტეტო მიდგომასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს კომპლექსურ განვითარებას, აღნიშნა, რომ შესაბამისი მხარეების მიერ განხორციელდება შეფასება და პრობლემების იდენტიფიცირება, ასევე, შესაბამისი გეგმების შემუშავება. მოცემული მიდგომა საუნივერსიტეტო პოლიტიკის ნაწილია და, ბუნებრივია, განხორციელდება დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაშიც.


17:44 საათზე წინო ლიპარტიამ დატოვა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა პერსონალი იყო თუ არ ადგილობრივი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძირითადი ნაწილი ქუთაისიდან, ნაწილი კი თბილისიდანაც იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ დაამატა, რომ ისინი აპირებენ მათი საცხოვრებლითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა ბაზების არსებობით. აღნიშნულთან დაკავშირებით გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ ქუთაისში საკმაოდ ბევრი საავადმყოფოა აშენებული. იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ერთი მედიცინის პროგრამა არსებობს, ძირითადი ბაზა „ევექსის ჰოსპიტალია“, რომელთანაც პროგრამა თანამშრომლობს. ზ. ცხაკაიას რეგიონული ჰოსპიტალი, რომელსაც ყოველწლიურად 27 000 პაციენტი ჰყავს, ონკოლოგიის გარდა მოიცავს ყველა იმ ძირითად მიმართულებას, რომელიც უნივერსიტეტს სჭირდება. ონკოლოგიის ცენტრი არის იქვე. მისი თქმით, გარდა ამისა,

საბჭოს თავმჯდომარე


 ხელმოწერა

უნივერსიტეტის მხრიდან საკმაოდ დიდი ინვესტიცია განხორციელდა. უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა სიმულაციური ცენტრი, ასევე, შექმნილია ვირტუალური რეალობის პროგრამა. დაწესებულების მცდელობაა, რომ ანატომია და ბიოქიმია ისწავლებოდეს სრულად ამ მეთოდოლოგიით.

საბჭოს მოწვეული წევრმა, ირაკლი კობრიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას და დაინტერესდა სწავლების ენით და იმით, თუ როგორი იყო ინგლისური ენის ცოდნის დონე, რა კრიტერიუმით იქნა შეფასებული ინგლისური ენა. დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია. დაწესებულების მიერ პერსონალის შერჩევის დროს ჩატარდა შეხვედრები და დარწმუნდნენ, რომ ყველა პროფესორმა იცის ინგლისური ენა. პროფესორებმა ინგლისურ ენაზე ჩატარეს საჯარო ლექცია. მათ, ასევე, ჩაუტარდათ გასაუბრება და წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია. კრიტერიუმები კი პროფესიული ინგლისური და ლექციის ჩატარების უნარი იყო. მან ისიც აღნიშნა, რომ შემფასებლებს შორის თავადაც იმყოფებოდა.


საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კობრიძემ კვლავ მიმართა დაწესებულებას და დაინტერესდა ამ პროგრამის განსახორციელებლად პროგრამაში ჩართული რამდენი ადამიანია მზად თავისი ინგლისური ენის ცოდნის დონით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კრიტერიუმები არის გასაუბრება და კონკრეტულ სამედიცინო სფეროში პროფესიული საჯარო ლექცია. რაც შეეხება პროგრამაში ჩართულ ადამიანთა რაოდენობას, ამის შესახებ მან აღნიშნა, რომ პროგრამაში სხვადასხვა კლინიკებიდან, მათ შორის "ვეექსიდანაც", 54 ადამიანია ჩართული.

17:57 საათზე ანა ფირცხალაშვილმა დატოვა სხდომა.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კობრიძემ იკითხა, დაწესებულების წარმომადგენელმა თუ რამდენი ლექცია მოისმინა, რაზეც გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ მოისმინა 54 ლექცია. ირაკლი კობრიძემ დაინტერესდა თუ ახსოვს, ლექციები რა თემებს ეხებოდა. გიორგი გაბისონიამ კი უპასუხა, რომ დაიფარა ძირითადი კლინიკური მიმართულებები. მან დამატებით ისიც აღნიშნა, რომ თუ იქნა აკადემიური პერსონალის ჩანაცვლების საჭიროება, აღნიშნული განიხილება სტუდენტების მიღების შემდეგ. რადგანაც ჯერ დაწესებულებას სტუდენტები არ ჰყავს, მისი თქმით, ეს პრობლემა ჯერ ვერ გამოვლინდება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კითხვის ნაწილი ალბათ იქნებოდა ისიც, თუ რა ენაზე ექნებათ სტუდენტებს კლინიკებში კომუნიკაცია. ამისთვის, ქართული ენა გაძლიერებულად ისწავლება, რომელიც სავალდებულო კურსია. მან დაამატა ისიც, რომ საბჭოსთანაც იყო ამაზე საუბარი და როდესაც სტუდენტი მივა მეოთხე კურსზე, ბაზაში მას ექნება თავისუფალი კომუნიკაცია ექიმებთანაც და პაციენტთანაც. შესაბამისად, ამ პრობლემას დაწესებულება ორივე მხრიდან უდგება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მათი რეკომენდაციები იწყება შემდეგი წინადადებით: „სამედიცინო პროგრამის მიზნების გათვალისწინებით, რომელიც ვითარდება აკადემიური პერსონალის აყვანის თვალსაზრისით, ფაკულტეტისა და ინფრასტრუქტურის განვითარება არის საჭირო, შესაბამისად, ჩვენი რჩევაა, მოქმედებდეს მკაცრი შემოწმების დონე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფაკულტეტის, ხელმძღვანელობისა და კოლეგების ორიენტირება ამბიციური და ინოვაციური პროგრამისკენ. და შემდეგ მოხარული იქნება თავმჯდომარე, რომ დაბრუნდეს პროგრესის განსახილველად.“ იგი დაინტერესდა აღნიშნული ჩანაწერი ნიშნავდა თუ არა იმას, რომ მონიტორინგი უნდა ჩატარებულიყო. ექსპერტმა ია ფანცულაიამ უპასუხა, რომ ამ ნაწილს ექსპერტთა თავმჯდომარე თვითონ აყალიბებდა. მან განმარტა ჩანაწერი და მისი თქმით, მასში იგულისხმება ის, რომ რჩევები (რჩევების სახითაა ბევრი რამ წარმოდგენილი) შემოკლებული შეჯამებაა. მას ჰქონდა მოსაზრება, რომ აუცილებელი იქნება მონიტორინგი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადგან პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა, როდესაც პროგრამა დაიწყებს მოქმედებას, მონიტორინგის საჭიროებაც მაშინ გაჩნდება. დანარჩენი სამი რეკომენდაციის შესახებ კი აღნიშნა, რომ ისინი კონკრეტულია, თუმცა ეს რეკომენდაციების შეჯამებაა. მან დამატებით ისიც აღნიშნა, რომ თავმჯდომარე ექსპერტთა მიერ ინფორმირებულ იქნა იმის შესახებ, რომ არ

საბჭოს თავმჯდომარე


ბელმოწერა

შეიძლება საბჭოს მინიშნება გადაწყვეტილებისადმი, მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ ასე უნდა ჩამოყალიბებულიყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ სამედიცინო ქიმიში მხოლოდ თარგმანის პრობლემა არ შეინიშნება. მისი თქმით, მსგავსი პრობლემა არსებობს სამედიცინო ფიზიკაშიც. რამდენიმე ლიტერატურაში მოყვანილია წიგნი „კლინიკური ქიმიის საფუძვლები“. თუმცა, ასეთი საკითხი ამ წიგნში არ არის აღნიშნული, ასევე არ ემთხვევა გვერდებიც. მან დაამატა ისიც, რომ პროგრამაზე ისწავლება სუფთა ფიზიკური მიმართულებაც. ორივე (ქიმიისა და ფიზიკის) სილაბუსის ავტორი ერთი და იგივე პირია, რომელიც ბიოლოგია და მას ბიოფიზიკაში არც ერთი სტატია არ აქვს გამოქვეყნებული. ამ პირს 1996-2000 წლებში აქვს ბიოლოგიის ბაკალავრი დამთავრებული და სამაგისტრო დონე, იგივე (ბიოლოგიის) მიმართულებით აქვს გაგრძელებული. მისი აზრით, სტატიების მიხედვით უფრო სურსათის ტექნოლოგია. იგი დაინტერესდა რამდენად მისაღები იყო აღნიშნული გარემოება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ აღნიშნა, რომ ეს ადამიანი ბიოფიზიკოსია და ფიზიკა ინტერესებს. მან აღნიშნა, რომ იგი ფიზიკას კარგად არ სწავლობდა სამედიცინო უნივერსიტეტში, შესაბამისად ამ წიგნს კარგად არ იცნობს. მისი თქმით, შეძლებისდაგვარად იქნება გადაწყვეტილება მიღებული. ეს საგნები არჩევით საგნად იქნა შეთავაზებული, რადგან სტუდენტებს შეიძლება ბიოქიმიის სასწავლო კურსის დაძლევა. სტუდენტები სხვადასხვანაირი განათლების დონით მიდიან უნივერსიტეტში, მითუმეტეს უცხოენოვან პროგრამაზე. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, საერთაშორისო სტანდარტით არ არის მოწონებული ფიზიკისა და ქიმიის პროგრამაში არსებობა, თუმცა სხვანაირად, მხოლოდ სკოლის ცოდნით ვერ მოხდება ბიოქიმიის სწავლება.

საბჭოს წევრის, გიორგი ქვარცხავას თქმით, სილაბუსის სახელწოდებასა და შინაარს შორის ნიველირება უფრო უარესია და აღნიშნული გამოსასწორებელია.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, სპირალური ინტეგრაციის დონით პროგრამა არის ძალიან თანამედროვე, რაც ძალიან მისასალმებელია. კლინიკური საგნების უმრავლესობა ოსკის გამოცდით მთავრდება, რაც ასევე ძალიან კარგია. იგი დაეთანხმა ექსპერტთა შეფასებას, რომ ამბიციურია. მისთვის მეორე საკითხია, თუ რამდენად განხორციელებადია ეს პროგრამა. ვინაიდან ადამიანურ რესურსებზე ბევრი ისაუბრეს, შესაბამისად მან ამ საკითხს ხაზი აღარ გაუსვა. გარდა იმისა, რომ პროგრამა თანამედროვეა, გათვალისწინებულია მედიცინის 2019 წლის მახასიათებელი. ხათუნა თოდაძე ასევე დაინტერესდა, თუ ვის მიერ იყო სილაბუსები დაწერილი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ სილაბუსები ხელმძღვანელობის დახმარებით აკადემიური პერსონალის მიერ დაიწერა.

საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძის თქმით, დარგობრივ მახასიათებელში მაგალითისთვის მოცემულია უნარებისა და კომპეტენციების სია. ასევე წერია, რომ ეს არის ნიმუში და არ არის აუცილებელი ზუსტად იყოს გადატანილი. მან მოიყვანა მაგალითები და ჩამოთვალა მუან-გინეკოლოგიაში მითითებული უნარები: პროცედურების ჩატარების უნარი, სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა, წნევის გაზომვა, პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია, სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა, კანქვეშ და კუნთში ინექციის გახორციელება, ჟანგბადის მიწოდება, პაციენტის ტრანსპორტირება, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, შარდის ანალიზის გაკეთება. მისი თქმით, აღნიშნული უნარები ყველა სილაბუსში ერთი და იგივეა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ ეს არის ერთი და იგივე უნარები, რომლებიც სტუდენტმა აუცილებლად უნდა იცოდეს. ეს გადაუდებელი დახმარების გაწევაა. მისი თქმით, აღნიშნული უნარების განვითარება პირველი კურსიდან იწყება და მეექვსე კურსზე მთავრდება. მან აღნიშნა, რომ სწორედ საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს იყო ტრენინგი ტრევორ გიბსთან, რომელმაც სწორედ აღნიშნა, რომ ოსკთან დაკავშირებით არის ისეთი უნარები მაგალითად, ხელის დაბანა, რომელიც პირველი კურსიდან მე-6 კურსამდე მეორდება, რადგან თუ სტუდენტი გამოცდაზე შედის და ხელი არ დაიბანა, ამით მთელი გამოცდა ვარდება. აღნიშნულზე საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ უპასუხა, რომ აქ

საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა

უნდა იყოს სპეციფიკური უნარები, რომელიც მეან-გინეკოლოგიას სჭირდება. მისი თქმით, ასევე ოტორინოლარინგოლოგიის სილაბუსშიც, სადაც იგივე უნარებია გადმოღებული. ასევე, სრულიად განსხვავებული სფერო, ფსიქონევროლოგიური დაავადებებიც მთლიანად იგივეა. არც ერთი სპეციფიკური უნარი არ არის აღნიშნული, რომელიც სტუდენტმა მიმართულების მიხედვით უნდა იცოდეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ აქ აღნიშნულია ის ძირითადი კომპეტენციები, რომლებიც ყველა სტუდენტმა უნდა იცოდეს პროგრამის დასრულების შემდეგ. იქ აღნიშნულია საგნობრივი სპეციფიკური კომპეტენციები, რომლებიც თემების დასახელებების მიხედვით ასახულია სილაბუსებში, თუმცა, საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძეს თქმით სილაბუსებში ეს არსად ჩანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ აღნიშნა, რომ ქირურგიული კვანძის დადების ტექნოლოგიასთან დაკავშირებით, ეს შეკითხვა ასევე დასმული იყო ტრევორ გიბსთან, კერძოდ უნდა იყოს თუ არა ჩაშლილი ეს ცალკე კონკრეტულ კომპეტენციებად და მის მიერ ნახსენები იყო, რომ არა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ სპეციფიკური უნარები უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ ყველა საგანი მთელი 6 წლის განმავლობაში მხოლოდ 10 უნარ-ჩვევას ასწავლის.

დაწესებულების წარმომადგენლის, გიორგი გაბისონიას თქმით, პროგრამის მიზანია თანამედროვე სტანდარტით მოამზადოს ზოგადი პრაქტიკოსი. ის არ არის არც მეან-გინეკოლოგი, არც ოტორინოლარინგოლოგი. მან აღნიშნა, რომ ამისთვის, საქართველოს კანონმდებლობით არსებობს რეზიდენტურის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული სფეროს განვითარებას.

საბჭოს მოწვეული წევრის, ირაკლი კობხრიძის თქმით, დასმული იყო სპეციფიკური შეკითხვა. ის დაინტერესდა, თუ სად არის ჩამოთვლილი ეს საგან-სპეციფიკური კომპეტენციები.

დაწესებულების წარმომადგენლის, გიორგი გაბისონიას თქმით, რუკაში არის მოცემული კონკრეტული და დარგობრივი კომპეტენციები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ უპასუხა, რომ რუკაში მითითებულია კომპეტენციები, თუმცა, არაა მითითებული ის, თუ როგორ ხდება ამის განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენლის, გიორგი გაბისონიას თქმით, ეს მიდგომების საკითხია, ამ შემთხვევაში უფრო დეტალური პროგრამის აღწერილობაა.

მოწვეული წევრის, ნათია ნოღაიდელის თქმით, ზოგადი პრაქტიკოსი არის საოჯახო მედიცინის სპეციალისტი და მას დიპლომის შემდგომი გადამზადება სჭირდება. ასევე, იგი არ დაეთანხმა იმას, რომ რუკასა და სილაბუსში ერთი და იგივე კომპეტენციები უნდა იყოს მითითებული. იგი დაინტერესდა, თუ რამდენად შეიძლება ჯანდაცვის სფეროს დოქტორანტი, რომელსაც არ აქვს საექიმო სპეციალიზაცია, პროგრამის ხელმძღვანელი იყოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ თუ მის კომპეტენციაში ეჭვი ეპარებათ, შეუძლიათ კითხვები დაუსვან და ის გასცემს პასუხებს. მან აღნიშნა, რომ კანონმდებლობაში ამის საწინააღმდეგო არაფერია აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს. მისი თქმით, ექსპერტი გაეცნობოდა სილაბუსს და დაინტერესდა, თუ რა შეეძლო ეთქვა მას სილაბუსის შესახებ.

ექსპერტმა ია ფანცულაიამ აღნიშნა, რომ ის, ვინც იყო საექიმო სპეციალისტი, ინგლისიდან იყო წარმოდგენილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპეტენციები ზოგადია. ეს კომპეტენციები გარკვეულწილად წერია, თუმცა სილაბუსები განმახორციელებლის აკადემიური თავისუფლებაა.

საბჭოს თავმჯდომარის, ქეთევან ქოქრაშვილის თქმით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება შედეგზე გასვლა. ექსპერტმა ია ფანცულაიამ უპასუხა, რომ შედეგზე გასვლასთან დაკავშირებით იყო მოცემული რეკომენდაციები შეფასების შესახებ. რეკომენდაციები სწორედ იმას ეხება, რომ ყველა სასწავლო კურსს ერთნაირი შეფასების სისტემა ჰქონდა.

საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძის თქმით, ყველაზე მომხიბვლელი პროგრამაში ოსკის გამოცდაა. ოსკის გამოცდა გათვალისწინებულია მეან-გინეკოლოგიაში, რომელშიც 40 ქულა იწერება. აღნიშნული გამოცდის

საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა

დროს გამოიყენება სტანდარტიზებული პაციენტი. ოსკის ტიპის გამოცდა მოიცავს 4 ამოცანას. სწორად ამოხსნილი თითოეული ამოცანა ფასდება 10 ქულით. მისი თქმით სიმულატორი არსად არ არის ნახსენები. დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ 4 ამოცანაა 8 სადგური, რომელიც ტარდება რამდენიმე სადგურზე. მოცემული ერთი ქეისი არის 10 ქულიანი, რომელიც ტარდება რამდენიმე სადგურზე. მეან-გინეკოლოგიის გამოცდაში ყველაზე გავრცელებული ამოცანა არის ვაგინალური ნაცხის აღება. ეს ხდება როგორც სიმულატორზე, ასევე რეალური, დატრენინგებული პაციენტის შემთხვევაში. ასევე, სილაბუსები ისეა აწყობილი, რომ ოსკის გამოცდები ინტეგრირებულია. ანუ რამდენიმე გამოცდა ერთობლივად ბარდება. აღნიშნული 10 ქულა ერთი კონკრეტული მაგალითია, რომელიც იყოფა რამდენიმე სადგურზე. მან მოიყვანა მაგალითი და აღნიშნა, რომ სტუდენტი შევიდა პირველ სადგურზე და იქ ზის სტანდარტიზებული პაციენტი, რომელიც სტუდენტმა უნდა გამოკითხოს, მოახდინოს ემპათია. მისი თქმით, იგივე გაგრძელდება შემდეგ სადგურზე, სადაც სხვა ადამიანი ზის, თუმცა თამაშობს იგივე პაციენტს.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა, იმით ამოწმებდნენ თუ არა ყველა მეან-გინეკოლოგიურ ჩვევას სტანდარტიზებულ პაციენტზე, ასევე, თუ რატომ არ იყო ნახსენები არც ერთ სილაბუსში სიმულატორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ ბოდიში მოიხადა და აღნიშნა, რომ ეს შეიძლება შაბლონში ყოფილიყო გამორჩენილი.

საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძის თქმით, ოსკი ასევე მითითებულია ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის სილაბუსში და გამოიყენება სტანდარტიზებული პაციენტი. მისი თქმით, ყველა სილაბუსში ეს არის დაკოპირებული. მან აღნიშნა, რომ ფსიქიატრიაში გამოყენებული უნდა იყოს სიმულაციური პაციენტი და არა სტანდარტიზებული პაციენტი.

დაწესებულების წარმომადგენლის, გიორგი გაბისონიას თქმით, ყველა პროგრამა კეთდება ისე, რომ ერთი შაბლონია, რომელსაც სურვილის მიხედვით იღებს პროფესორი. იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ შაბლონში შეცდომა გაიპარა, რომელიც შემდეგ მეორდება. მან დამატებით აღნიშნა ისიც, რომ შეიძლება რემისიაში მყოფი პაციენტის გამოყენება, რაზეც საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ უპასუხა, რომ არ აქვთ გამოყენების უფლება, რადგან მათ უნდა გამოიყენონ სიმულაციური პაციენტი, რომელიც კონკრეტულ პაციენტს ითამაშებს. სიმულატორი კი არც ერთ ოსკის გამოცდაში არ არის ნახსენები.

საბჭოს მოწვეული წევრი, ირაკლი კობხრიძე დაინტერესდა, თუ რამდენი შემთხვევა ტარდება ერთ სტანდარტიზებულ პაციენტზე, ასევე, რას ფიქრობდა დაწესებულება, ეს პაციენტი რამდენ სტუდენტს ჩაატარებინებდა ნაცხის აღების პროცედურას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ სტანდარტიზებული პაციენტების რაოდენობა კონკრეტული გამოცდის საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრება. მისი თქმით, ალბათ გააჩნია რამდენს გადაუხდინა ამ ადამიანს. ჰიპოთეტურად ერთი ერთთან, თუმცა არსებობს მულიაჟები. საბჭოს მოწვეული წევრის, ირაკლის თქმით, იგი სწორედ ამას გულისხმობდა, როდესაც შეკითხვა დაისვა, რადგან არც ერთ სილაბუსში ჩანს ოსკის გამოცდაზე თუ რამდენი სტანდარტიზებული პაციენტი ეყოლება დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ აღნიშნა, რომ ოსკის გამოცდა 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობს, შესაბამისად ერთ მიმართულებაზე დაახლოებით 4 პაციენტია. ერთი ოსკის გამოცდის ჩასატარებლად კი დაახლოებით 12 პაციენტია საჭირო.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კობხრიძემ უპასუხა, რომ ასეთი რაოდენობის პაციენტი მოინახებოდა. გიორგი გაბისონიას თქმით, თბილისში არსებობს ამის გამოცდილება.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კობხრიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას და დაინტერესდა ამ 12 პაციენტს სტუდენტები ჩაუტარებდნენ თუ არა ვაგინალურ ნაცხს.

საბჭოს თავმჯდომარე


ბელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ უპასუხა, რომ ჰიპოთეტურად ჩაუტარებდნენ. მან აღნიშნა, რომ როგორც წესი, პაციენტთან მშობიარობა არ არის ხოლმე. ეს არის მულაჟის სახით.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კობრეიძემ უპასუხა, რომ სწორედაც, არსად არ წერია სიმულაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ვიზიტის დროს ნახეს, რომ შესაბამისი მულაჟები არსებობს. შესაბამისი პაციენტების პოვნა და დატრენინგებაც შესაძლებელია, გააჩნია პაციენტებს რამდენს გადაუხდიათ. მისი თქმით, ტარდება კლინიკური კვლევები და ბევრად მეტი ზიანის შემთხვევაში, ფულის გამო გამოიყენება პაციენტები.

საბჭოს მოწვეული წევრი, ირაკლი კობრეიძე არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს კლინიკურ კვლევებთან დაკავშირებით, რადგან მისი თქმით, მოწვეული წევრების უმრავლესობის მსგავსად, მთავარი მკვლევარი გახლავთ და გატარებული აქვს ყველა საჭირო, მათ შორის უსაფრთხოების პროცედურა.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, საბჭოს მოწვეულმა წევრმა კლინიკურ კვლევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამას სახელმწიფო აკონტროლებს და ხორციელდება მისი მკაცრი კონტროლი. საბჭოს მოწვეულმა წევრმა, დავით გაგუამ აღნიშნა, რომ მულაჟები ძალიან იაფი ღირს და არ მოუხდებათ პაციენტების მოძიება.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ირაკლი კობრეიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მათ ტრენინგები ახსენეს. ტრეინორ გიბსი კი ხშირად აღნიშნავს, თუ რამხელა ძალა აქვს სიტყვას. მან მიუთითა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ აზრების თანმიმდევრობისთვის მიექციათ ყურადღება და მოუწოდა, რომ ნუ შეადარებდნენ კლინიკურ კვლევებს სტანდარტიზებულ პაციენტს.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, საბჭოს მოწვეული წევრი დაინტერესდა იმით, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პროფესორი და სად შეიძლება მოინახოს. მისი თქმით, მედიცინაში სხვადასხვა დარგია, რომელსაც არეგულირებს ჯანდაცვის სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გაბისონიამ აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი არის ვებ-გვერდზე, რომელიც ძალიან ზოგადია. მისი თქმით, შეიძლება პროფესორი იყოს, თუმცა არაა აუცილებელი. როგორც მან აღნიშნა, კანონში შესაბამისი რეგულაცია არ დევს.

საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძის თქმით, სილაბუსები ან არ არის დაწერილი კურსის ავტორების მიერ, ან კურსის ავტორები ვერ აცნობიერებენ იმ შედეგს, რომელსაც უნდა მიაღწიონ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა პროგრამა დღევანდელი მდგომარეობით გადის თუ არა შედეგზე.


ექსპერტმა, ია ფანცულაიამ უპასუხა, რომ თუ რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნება, პროგრამა გავა შედეგზე. მისი თქმით, მეორე, მესამე, მეოთხე სტანდარტი არის მეტწილად შესაბამისი, რომელიც მონიტორინგს საჭიროებს. მან აღნიშნა, რომ ამ კითხვას პასუხს ვერ გასცემს, რადგან მისი პრეროგატივა არაა, ვინაიდან ექსპერტთა დასკვნა გუნდური შედეგია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ალავიძემ აღნიშნა, რომ ნახეს შესაბამისი დოკუმენტი და პროგრამის ხელმძღვანელი აფილირებული ან აკადემიური პერსონალია, რომელიც არის ერთი ან მეტი სასწავლო კურსის ავტორი ან გააჩნია პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაცია.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, საბჭოს მოწვეულმა წევრმა აღნიშნა, რომ შესაბამისი კვალიფიკაცია არ არის ჯანდაცვის სპეციალისტი. საექიმო სპეციალობა განისაზღვრება დიპლომის შემდგომი რეზიდენტურით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ გიორგი გაბისონიას ასევე გააჩნია მაგისტრის დიპლომი და შეუძლია საბაზისო დარგების წაკითხვა. უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი არის მხოლოდ პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც პროგრამის შექმნას უწევს ადმინისტრირებას. მისი თქმით, გიორგი გაბისონიას აქვს მედიკოსის დიპლომი და მას აქვს საბაზისო კურსების წაკითხვის უფლება.

საბჭოს თავმჯდომარე


ხელმოწერა

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, საბჭოს მოწვეულმა წევრმა აღნიშნა, რომ სარეზიდენტო პროგრამები მოიცავს იმ მიმართულებებს, რომლებიც წარმოდგენილია პროგრამაში. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელი კონკრეტული მიმართულებისაა, რომელ შედეგზეც პროგრამა გადის, იმ სფეროს წარმომადგენელია. ასევე, მან აღნიშნა, რომ მას ამ სფეროში არც ერთი პუბლიკაცია არ აქვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა ქელბაქიანმა უპასუხა, რომ იგი შეესაბამება უნივერსიტეტის მოთხოვნებს, ასევე იურიდიულ ნორმებს. მან აღნიშნა, რომ თუ მოიყვანენ კონკრეტულ ნორმატიულ აქტს, რომელიც ადასტურებს, რომ ეს კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით გაწერილ რეგულაციას. მისი თქმით, შეიძლება დოქტორანტის არჩევაც.

საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძის თქმით, ეს უნივერსიტეტის რეგულაციებზეა დამოკიდებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა ექსპერტთან დააზუსტა მეოთხე სტანდარტი და აღნიშნა, რომ რჩევას, უნივერსიტეტი უნდა აცნობიერებდეს ბიუჯეტის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას დიპლომირებული მედიკოსის მთელი განხორციელების პერიოდზე. ეს არის მეოთხე სტანდარტის მეორე რჩევა.

ექსპერტმა, ია ფანცულაიამ აღნიშნა, რომ მინიშნება მდგრადობაზეა. ადამიანური რესურსების განვითარება და სხვა საკითხები მოითხოვს ბიუჯეტს. შესაბამისად, მან აღნიშნა, რომ ექსპერტები ვერ იტყვიან რამდენი რაზე უნდა დაიხარჯოს. თუმცა, აღნიშნა, რომ ეს რჩევაა. მისი თქმით, ინგლისელმა ექსპერტმა ჩათვალა, რომ ყველაფერი 2 წლის შემდეგ მონიტორინგით უნდა შემოწმდეს. მისი აზრები კი სწორედ იმ სტანდარტებს ეხება, რომლებიც წარმოდგენილია რეკომენდაციების სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ყველანაირი სტანდარტი დაკმაყოფილებულია, რადგან დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია და აღნიშნა, რომ ეს პროცესები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მისი თქმით, დაწესებულება 1991 წლიდან უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებს და ყველაზე ძველი კერძო უნივერსიტეტია.

მან ისიც აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ნამდვილად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ როდესაც პასუხისმგებლობას იღებს, აუცილებლად აასრულებს მას.

მან დამატებით აღნიშნა, რომ ოდესმე ისინიც ექსპერტები ან/და საბჭოს წევრები იქნებიან, შესაბამისად, კოლეგიალური რეჟიმი უკეთესი იქნებოდა. მან, ასევე, ზოდში მოიხადა თუ ვინმეს გალიზიანება გამოიწვიეს.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 18:46 სთ

დამთავრების დრო 19: 20 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 18

საბჭოს მიერ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ⁵⁵	დიპლომირებული მედიკოსი
2	სტატუსი ⁵⁶	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	„----“
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ⁵⁷	„----“
5	უმაღლესი განათლების საფეხური ⁵⁸	ერთსაფეხურიანი
6	კვალიფიკაციის დონე ⁵⁹	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ⁶⁰	„----“
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED - F - 2013)	0912 მედიცინა
10	კვალიფიკაციის კოდი ⁶¹	0912
11	სწავლების ენა	ინგლისური
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
13	განხორციელების ადგილი ⁶²	საქართველო 4600, ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №13
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	„----“
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	„----“

⁵⁵ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

⁵⁶ ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

⁵⁷ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁵⁸ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵⁹ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁶⁰ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁶¹ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/5) შესაბამისი კოდი

⁶² ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე


 ხელმოწერა

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁶³	
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	„-----“

საბჭოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე

საბჭოს მდივანი

სხდომის მდივანი



ქეთევან ქოქრაშვილი
 გიორგი ამილახვარი
 ნინო ლიპარტია
 სალომე თოთიბაძე

⁶³ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში